როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის

ი ს ტ ო რ ი ა

თბილისი

შესავალი

კრებული შედგენილია მათთვის, ვინც 2015 წელს ისტორიაში ერთიან ეროვნულ გამოცდას აბარებს. კრებულში მოცემულია ერთიანი ეროვნული გამოცდების მოთხოვნები ისტორიაში, საგამოცდო პროგრამა, ტესტურ დავალებათა აღწერილობა, რეკომენდაციები და 2014 წლის საგამოცდო ტესტი ისტორიაში.

2006-2009 წლებში ერთიანი ეროვნული გამოცდა ისტორიასა და გეოგრაფიაში ერთად ტარდებოდა, 2010 წლიდან კი ისტორიის გამოცდას აბიტურიენტები ცალკე აბარებენ.

აბიტურიენტებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ თითოეული ტესტური დავალების აღწერილობა, მაქსიმალური სიზუსტით დაიცვან დავალებების სწორად შესრულების ტექნიკური და შინაარსობრივი მოთხოვნები.

ვიმედოვნებთ, ეს კრებული დაგეხმარებათ საფუძვლიანად მოემზადოთ 2015 წლის მისაღები გამოცდებისათვის.

საგამოცდო ტესტში არ განმეორდება ამ კრებულში მოცემული არც ერთი დავალება.

გისურვებთ წარმატებას!

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, მისი რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამა ისტორიაში

უნარ-ჩვევები და კომპეტენციები[1]:

- *ისტორიული დროის გაგება*
- *ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება*
- *ცნებებისა და ტერმინების გამოყენება*
- *კავშირებისა და მიმართებების დადგენა*
- *ისტორიული ეპოქის განცდა*
- *ფაქტებისა და მოვლენების ისტორიული ინტერპრეტაცია*
- *პრობლემის გააზრება და სხვადასხვა საკითხებს შორის კავშირევის დადგენა*
- *კრიტიკული აზროვნება*
- *შემოქმედებითობა*
- *პოზიციის შემუშაშვება, კრიტიკა, დაცვა*

საკითხთა ჩამოთვალი:

საგამოცდო საკითხთა ჩამონათვალი	*საკითხთა დეტალიზებული ჩამონათვალი (დაზუსტება)*
1) პრეისტორიული ეპოქა	*პირველყოფილი საზოგადოება (ქვის ხანა, ბრინჯაოს ხანა)*
2) ძველი აღმოსავლეთი და საქართველო	*ძველი შუამდინარეთი: შუმერი, ბაბილონი (სახელმწიფოების წარმოქმნა, მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკა)* *ასურეთი, ხეთების სამეფო, ურარტუ (სახელმწიფოების წარმოქმნა, საგარეო პოლიტიკა)* *დიაოხი და კოლხა* *აქემენიანთა ირანი (სახელმწიფოს წარმოქმნა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რელიგია, აქემენიანები და ქართული სამყარო)*
3) ძველი საბერძნეთი, ძველი რომი და საქართველო	*ძველი საბერძნეთი (ათენი, სპარტა, ბერძნული კოლონიზაცია, ბერძენ-სპარსელთა ომები)* *ალექსანდრე მაკედონელი (ალექსანდრეს მოღვაწეობა, ელინიზმი და ელინისტური*

[1] *აღნიშნული უნარ-ჩვევები და კომპეტენციები მოცემულია 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმაში*

	სახელმწიფოები) *ქართული სახელმწიფოები ელინისტურ ხანაში (კოლხეთი, ქართლი)* *ძველი რომი (რომის რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, სამოქალაქო ომები, რომის იმპერის საშინაო და საგარეო პოლიტიკა)* *რომი და საქართველო (პომპეუსის ლაშქრობა, ურთიერთობა I-II საუკუნეებში)*
4) მსოფლიო და საქართველო III-X საუკუნეებში	*ევროპა IV-V საუკუნეებში (ხალხთა დიდი გადასახლება, რომის იმპერიის ორად გაყოფა, დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა)* *ქრისტიანობა (წარმოშობა, გავრცელება, I, IV და VII მსოფლიო საეკლესიო კრებები)* *ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში* *ვახტანგ გორგასალი (საშინაო და საგარეო პოლიტიკა)* *ბიზანტია და ირანი (სასანიანთა სახელმწიფოს წარმოქმნა, მეფობის გაუქმება ქართლში, დიდი ომიანობა, იუსტინიანეს სამართალი და მისი მნიშვნელობა, იუსტინიანე I და ხოსრო I, ერისმთავრობის დაწესება ქართლში, ჰერაკლე კეისარი)* *კარლოს დიდი და მისი იმპერიის დაშლა* *არაბები და მათი დაპყრობები (ისლამის წარმოქმნა და გავრცელება. სახალიფოს ჩამოყალიბება. არაბთა დაპყრობები)* *არაბთა ბატონობა საქართველოში* *ქართული სამეფო-სამთავროები IX-X საუკუნეებში*
5) მსოფლიო და საქართველო X-XV საუკუნეებში	*საქართველო X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნეში* *სელჩუკთა სახელმწიფოს წარმოქმნა სელჩუკთა*

	დაპყრობები. სელჩუკები და საქართველო *დავით აღმაშენებელი (საშინაო და საგარეო პოლიტიკა)* *თამარ მეფე (საშინაო და საგარეო პოლიტიკა)* *ჯვაროსნული ლაშქრობები (მიზეზები, I და IV ლაშქრობები, შედეგები, რაინდთა ორდენები, ჯვაროსნები და საქართველო)* *მონღოლთა სახელმწიფოს წარმოქმნა, მონღოლთა დაპყრობები.* *საქართველო XIII-XV საუკუნეებში (ჯალალ ედ-დინის ლაშქრობები, მონღოლთა ბატონობა საქართველოში, გიორგი ბრწყინვალე, თემურ-ლენგის ლაშქრობები, საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად)* *ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება* *ბიზანტიის დაცემა და მისი მნიშვნელობა. ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობები და საქართველო* *წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები ევროპაში: (თავისუფლების დიდი ქარტია და პარლამენტი ინგლისში, გენერალური შტატები საფრანგეთში)*
6) მსოფლიო და საქართველო XV-XVII საუკუნეებში	*აღორძინება და ჰუმანიზმი (ძირითადი მახასიათებლები)* *დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები (მიზეზები, ექსპედიციები, შედეგები)* *ლუთერი და რეფორმაცია გერმანიაში, კალვინი, რეფორმაცია ინგლისში* *კათოლიკე მისიონერები და საქართველო* *ინგლისი XVII საუკუნეში (მეფისა და პარლამენტის დაპირისპირება, სამოქალაქო ომი, კრომველის მმართველობა)*

	აბსოლუტიზმი საფრანგეთში (ლუი XIV) *რუსეთი (ივანე IV-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკა)* *ოსმალეთი და ირანი XVI-XVII სს-ში (ოსმალეთის გაძლიერება, სულეიმან I, ლეპანტოს ბრძოლა, ოსმალეთი XVII ს-ის 80-90-იან წლებში; სეფიანთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება, შაჰი აბას I, ირან-ოსმალეთის ომები და საქართველო)* *საქართველო XVI-XVII სს-ში (ბრძოლა ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის წინააღმდეგ)*
7) მსოფლიო და საქართველო XVIII საუკუნეში	*რუსეთი (პეტრე I-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკა)* *ვახტანგ VI (საშინაო და საგარეო პოლიტიკა, კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა)* *საქართველო XVIII საუკუნის II ნახევარში (თეიმურაზ II, ერეკლე II, სოლომონ I)* *აშშ-ს შექმნა (დამოუკიდებლობისათვის ომი, აშშ-ს შექმნა)* *განმანათლებლობა. განმანთლებლობის იდეების გავლენა საქართველოზე* *საფრანგეთის რევოლუცია (გენერალური შტატების მოწვევა, ბასტილიის აღება, საფრანგეთი ეროვნული კრების მოღვაწეობის პერიოდში, კონვენტი, 1791 წლის კონსტიტუცია, იაკობინელთა მმართველობა, თერმიდორული გადატრიალება, დირექტორია)*
8) ნაპოლეონის ეპოქა და ვენის კონგრესი	*18 ბრიუმერის გადატრიალება* *კონსულობა* *პირველი იმპერია (ტრაფალგარისა და აუსტერლიცის ბრძოლები, კონტინენტური ბლოკადა, ლაშქრობა რუსეთში, ლაიპციგისა და ვატერლოოს ბრძოლები)* *ვენის კონგრესი*

9) საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში	*რუსეთის მიერ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების დაპყრობა* *აჯანყებები საქართველოში ცარიზმის წინააღმდეგ XIX საუკუნის პირველ მესამედში* *საქართველო მეფისნაცვლობის პერიოდში* *ალექსანდრე II-ის რეფორმები* *რუსეთ-თურქეთის ომები და საქართველო*
10) რევოლუციები, სამოქალაქო ომები და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობები XIX ს-სა და XX ს-ის დასაწყისში	*რევოლუციები ევროპაში XIX საუკუნეში* *ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულების მოღვაწეობა* *გერმანიის გაერთიანება* *იტალიის გაერთიანება* *სამოქალაქო ომი აშშ-ში* *პოლიტიკური პარტიები საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში*
11) პირველი მსოფლიო ომი და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია	*სამხედრო ბლოკების შექმნა და ომის გამომწვევი მიზეზები* *ომის მიმდინარეობა და ომის შედეგები* *პარიზის კონფერენცია და მისი მნიშ-ვნელობა. ერთა ლიგა* *რევოლუციები რუსეთში და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება*
12) საქართველო და მსოფლიო პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში	*საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა* *საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ოკუპაცია* *საბჭოთა კავშირი 20-30-იან წლებში და საქართველო მის შემადგენლობაში* *იტალია და გერმანია 20-30-იან წლებში* *სამოქალაქო ომი ესპანეთში* *„ დიდი დეპრესია“* *„ დაშოშმინების პოლიტიკა“*
13) მეორე მსოფლიო ომი	*მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი* *გერმანიის თავდასხმა პოლონეთზე* *სსრკ-ს მიერ ბალტიის რესპუბლიკებისა და*

	დასავლეთ უკრაინის ოკუპაცია *სსრკ- ფინეთის ომი* *„უცნაური ომი“* *გერმანიის თავდასხმა სსრკ-ზე და სამხედრო ოპერაციები გერმანია-სსრკ-ს ფრონტზე* *ქართველები მეორე მსოფლიო ომში* *იაპონიის თავდასხმა პერლ-ჰარბორზე* *ოპერაცია „ოვერლორდი“* *თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციები* *გერმანიისა და იაპონიის კაპიტულაცია*
14) საქართველო და მსოფლიო „ცივი ომის“ ეპოქაში	*„ცივი ომი“ და მისი მიზეზები* *კორეისა და ვიეტნამის ომები, „კარიბის კრიზისი“* *NATO-სა და „ვარშავის ხელშეკრულების“ ბლოკის შექმნა* *ანტისაბჭოთა გამოსვლები 1956 წელს უნგრეთსა და 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში,* *1956 წლის 9 მარტისა და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები საქართველოში* *ჰელსინკის შეთანხმება*
15) აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკისა და სსრკ-ის დაშლა; საქართველო XX საუკუნის მიწურულს	*აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკისა და სსრკ-ის დაშლა* *1990 წლის არჩევნები საქართველოში, დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს*

ტესტურ დავალებათა აღწერილობა

დავალების I ტიპი

- *არჩევითი კითხვა*

<u>დავალების აღწერა და ინსტრუქცია:</u> – დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა.

<u>მოწმდება:</u> ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და ტერმინების ცოდნა; მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის უნარი.

<u>შეფასება:</u> თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

<u>ნიმუშები იხილეთ 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების თანდართულ ტესტში.</u>

დავალების II ტიპი

- *ქრონოლოგიის განსაზღვრა*

<u>დავალების აღწერა და ინსტრუქცია:</u> – დავალებაში მოცემული ჩამონათვალი (ისტორიული პიროვნებების ან მოვლენების, ფაქტების) უნდა დალაგდეს ქრონოლოგიური პრინციპით, უძველესიდან უახლესისაკენ. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი.

<u>მოწმდება:</u> ფაქტობრივი მასალის, კერძოდ, ქრონოლოგიის, ისტორიული პერიოდების ცოდნა და მისი გამოყენების უნარი.

<u>შეფასება:</u> თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

<u>ნიმუშები იხილეთ 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების თანდართულ ტესტში.</u>

დავალების III ტიპი

- ***შეცდომის პოვნა და შესწორება***

<u>დავალების აღწერა და ინსტრუქცია</u>: დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც ფაქტობრივი შეცდომებია დაშვებული. აპლიკანტმა უნდა აღმოაჩინოს და შეასწოროს ეს შეცდომები. პასუხები ფიქსირდება პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. შეფასდება როგორც აღმოჩენილი შეცდომა (1 ქულა), ასევე მისი გამოსწორებული ვარიანტი (1 ქულა).

<u>მოწმდება</u>: ფაქტობრივი მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი.

<u>შეფასება</u>: ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

<u>ნიმუშები იხილეთ 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების თანდართულ ტესტში.</u>

დავალების IV ტიპი

- ***ისტორიული წყაროს ანალიზი***

<u>დავალების აღწერა და ინსტრუქცია:</u> დავალებაში მოცემულია აბიტურიენტისთვის უცნობი ისტორიული წყარო (წერილობითი, ვიზუალური: ფოტო, ილუსტრაცია, კარიკატურა, რუკა, ნუმიზმატური მასალა და სხვ.), რომელსაც თან რამდენიმე შეკითხვა ახლავს. ეს კითხვები შეეხება: ისტორიული წყაროს გაგებას და მისგან საჭირო ინფორმაციის გამოყოფას, ისტორიულ წყაროში წარმოდგენილი კონკრეტული ამბის ისტორიულ კონტექსტში ჩასმას, მის გააზრებას, ასევე საკუთარი აზრის/შეფასების არგუმენტირებულად დასაბუთებას ამა თუ იმ მოვლენის მიმართ. აბიტურიენტმა დაკვირვებით უნდა წაიკითხოს მოცემული ისტორიული წყარო და უპასუხოს დასმულ კითხვებს. პასუხები ჩაიწერება პასუხების ფურცლის შესაბამის გრაფაში.

<u>მოწმდება:</u> ისტორიული წყაროს გაგებისა და საჭირო ინფორმაციის გამოყოფის, ისტორიულ წყაროში მოთხრობილი ამბის ისტორიულ კონტექსტში ჩასმის, საკუთარი მოსაზრების/შეფასების არგუმენტირებულად დასაბუთების უნარი.

<u>შეფასება:</u> ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

<u>ნიმუშები იხილეთ 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების თანდართულ ტესტში.</u>

დავალების V ტიპი

- ***პრობლემის ანალიზი***

<u>დავალების აღწერა და ინსტრუქცია</u>: დავალებაში მოცემულია მოკლე ტექსტი, რომელშიც საუბარია ორ ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისზე კონკრეტულ ისტორიულ ფაქტთან/მოვლენასთან დაკავშირებით. ტექსტს თან ახლავს კითხვები. აბიტურიენტმა საკუთარი მკაფიო არგუმენტები უნდა წარმოადგინოს ორი განსხვავებული/ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისის შეფასებისას (ერთი ან მეტი არგუმენტი თითოეული პოზიციის სასარგებლოდ), გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება/აზრი დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით.

<u>მოწმდება:</u> მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელი, არსებითი ნიშნების, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის, მოვლენათა და პროცესთა შედარების უნარი; საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთება; ლოგიკური, კრიტიკული აზროვნება; პროცესებისა და მოვლენების შეფასების უნარი.

<u>შეფასება</u> – ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

<u>ნიმუშები იხილეთ 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების თანდართულ ტესტში.</u>

<u>შენიშვნა:</u>

2015 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ისტორიაში ტესტი <u>70 ქულიანი იქნება</u> და 2 საათი და 30 წუთი დაეთმობა. ტესტურ დავალებათა რაოდენობა თითოეული დავალების ტიპში შესაძლოა შეიცვალოს.

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რა ცვლილება მოხდა ნეოლითის ხანაში?
ა. ადამიანმა დაიწყო მომთაბარეობა
ბ. გაჩნდა ქვის იარაღი
გ. დასრულდა პატრიარქატი
დ. ჩაისახა მწარმოებლური მეურნეობა

2. რა ცვლილება განიცადა ფინიკიელების მიერ შექმნილმა ანბანმა შემდგომში?
ა. მათ მიერ შემოღებულ თანხმოვან ასოებს ბერძნებმა ხმოვნები დაუმატეს
ბ. ეტრუსკებმა მათი ანბანის თითოეულ ნიშანს შეუსაბამეს ხმოვნები და თანხმოვნები
გ. მათ მიერ შემოღებული ასო-ნიშნები ლათინებმა დაალაგეს ალფადან ომეგამდე
დ. ბაბილონელებმა მათ მიერ შემოღებულ ასოებს შეუსაბამეს რიცხვითი მნიშვნელობა

3. რას გულისხმობდა დარიოს I–ის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული რეფორმა?
ა. საპიტიახშოების დაარსებას
ბ. სამარზპანოების წარმოქმნას
გ. სატრაპიების ჩამოყალიბებას
დ. პოლისების სისტემის რეფორმირებას

4. რა ზედწოდება მიენიჭა ზამასთან გამარჯვებულ მხედართმთავარ სციპიონს?
ა. რომაელი
ბ. იტალიელი
გ. აფრიკელი
დ. კართაგენელი

5. რას წარმოადგენდა „იუსტინიანეს კრებული“?
ა. საგადასახადო დავთრებს
ბ. კანონთა კოდექსს
გ. იმპერატორის მემუარებს
დ. მემატიანეთა თხზულებებს

6. რას ეწოდა „ჰიჯრა“ ისლამურ სამყაროში?
ა. საღვთო ომს
ბ. ქააბას მოლოცვას
გ. მუჰამადის მიმდევართა მიერ მექის დაკავებას
დ. მუჰამადისა და მისი თანამოაზრეების მედინაში გადასახლებას

7. რა იყო ბუღა-თურქის საქართველოში ლაშქრობის ძირითადი მიზანი?
ა. ეგრისის დაპყრობა
ბ. აშოტ დიდის შეპყრობა
გ. თბილისის ამირას დასჯა
დ. ქართლის მეფის დამორჩილება

8. რა იყო თურქ-სელჩუკთა ლაშქრობების ერთ-ერთი უშუალო შედეგი?
ა. ბიზანტიის აღმოსავლეთის პროვინციების დაპყრობა
ბ. ილხანთა სახელმწიფოს განადგურება
გ. ბალკანეთში ისლამის გავრცელება
დ. საღვთო რომის იმპერიის დაშლა

9. ვინ დაამარცხეს ქართველებმა ბასიანის ბრძოლაში?
ა. ირანის შაჰი
ბ. განძის ათაბაგი
გ. ბაღდადის ხალიფა
დ. რუმის სულთანი

10. რამ შეუწყო ხელი გიორგი ბრწყინვალეს, შეეწყვიტა მონღოლებისათვის ხარკის გადახდა?
ა. მოკავშირე ბიზანტიის კვლავ გაძლიერებამ
ბ. თემურ ლენგის თავდასხმებმა ილხანთა ულუსზე
გ. ილხანთა სახელმწიფოს შიდა არეულობამ და დასუსტებამ
დ. ოქროს ურდოსა და ეგვიპტის სასულთნოს შორის ბრძოლის გამწვავებამ

11. რა შედეგით დასრულდა ირან-ოსმალეთის ომი 1555 წელს?
ა. განადგურდა სეფიანთა ირანის სახელმწიფო
ბ. დაიშალა მუსლიმთა სარწმუნოებრივი ერთობა
გ. გადანაწილდა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიები
დ. დაემხო ფატიმიანთა დინასტია ოსმალეთში

12. რას ისახავდა მიზნად ივანე IV ლივონიის ომის წარმოების დროს?
ა. ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვებას
ბ. ტამპლიერთა ორდენის განადგურებას
გ. სკანდინავიის გაერთიანებული სამეფოს დამარცხებას
დ. ქალაქ პეტერბურგის გათავისუფლებას

13. 1648 წელს რომელ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს ეწოდა „ფრონდა“?
ა. ესპანეთში
ბ. საფრანგეთში
გ. იტალიაში
დ. ნიდერლანდებში

14. რა დაავალა ვახტანგ VI-მ „სწავლულ კაცთა კომისიას“?
ა. „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ რედაქტირება
ბ. „მოქცევაი ქართლისაის“ ხელნაწერების შეჯერება და დაბეჭდვა
გ. „ქართლის ცხოვრების“ რედაქტირება და შემდგომი საუკუნეების ისტორიის შედგენა
დ. „ამბავნი ქართლისანის“ ხელნაწერების გადაწერა და ახალი ცნობებით შევსება

15. ტილზიტის ზავის თანახმად, რომელი სახელმწიფოს მოკავშირე გახდა რუსეთი?
ა. შვედეთის
ბ. გერმანიის
გ. ინგლისის
დ. საფრანგეთის

16. რაზე მიუთითებდა 1814 წელს საფრანგეთში ლუი XVIII-ის გამეფება?
ა. სამოქალაქო ომის დამთავრებაზე
ბ. იაკობინელთა მმართველობის დასრულებაზე
გ. ბურბონთა დინასტიის რესტავრაციაზე
დ. პარიზის კომუნის დამარცხებაზე

17. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება?
ა. ქართველი სასულიერო იერარქებისა და ასევე სხვა რიგითი სასულიერო პირების აქტიურმა მონაწილეობამ 1804 და 1812 წლების აჯანყებებში
ბ. საქართველოს ეკლესიის პოზიცია შეუთავსებელი იყო რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ განხორციელებულ უკიდურესად ლიბერალურ პოლიტიკასთან
გ. საქართველოს ეკლესია იმპერიის მიერ რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი ყველაზე ხელისშემშლელი ფაქტორი იყო
დ. ეროვნული მოძრაობა კარგად იყენებდა ქართველი სასულიერო პირების პირად კონტაქტებს იმ დროს პოლონეთში მიმდინარე ანტირუსული აჯანყების მონაწილეებთან

18. რას ეწოდა „რისორჯიმენტო“?
ა. ხელშეკრულებას სარდინიის სამეფოსა და ვატიკანს შორის
ბ. კამილო კავურის მიერ გატარებულ რეფორმებს
გ. ბრძოლას იტალიის გაერთიანებისათვის
დ. ჯუზეპე მაძინის მიერ დაარსებულ არალეგალურ ორგანიზაციას

19. რა იყო ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი?
ა. საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამყარება
ბ. საქართველოში მარქსიზმის გავრცელება და რევოლუციის მოწყობა
გ. საქართველოსთვის რუსეთის შემადგენლობაში ავტონომიის მოპოვება
დ. კლასობრივი ბრძოლის გზით საქართველოში რევოლუციის მოხდენა

20. რა შედეგით დასრულდა 1917 წლის თებერვლის რევოლუცია პეტროგრადში?
ა. იმპერატორის გადადგომით
ბ. მასობრივი რეპრესიების დაწყებით
გ. სამხედრო დიქტატურის დამყარებით
დ. სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნით

21. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა „ანტანტის“ გამარჯვება პირველ მსოფლიო ომში?
ა. ომში აშშ-ს ჩაბმამ
ბ. რუსეთში მომხდარმა რევოლუციამ
გ. წყალქვეშა ნავების აქტიურმა გამოყენებამ
დ. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრად ჩერჩილის დანიშვნამ

22. რა მიზანს ისახავდა გერმანია 1918 წლის მარტში ბრესტის ზავის დადებისას?
ა. დასავლეთში ომის შეწყვეტას და აქ მოქმედი სამხედრო შენაერთების გამოყენებას ოსმალეთის წინააღმდეგ
ბ. რუსეთისათვის პოლონეთის დათმობის ხარჯზე ცენტრალური ბლოკის წევრ ქვეყნებს შორის განხეთქილების შეტანას
გ. რუსეთისათვის კავკასიასა და მცირე აზიაში ტერიტორიების გადაცემას და სანაცვლოდ მისგან საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტას
დ. აღმოსავლეთის ფრონტზე ომის დამთავრებას და გამოთავისუფლებული ჯარის დასავლეთში გადასროლას

23. რა იყო მუსოლინისა და რომის პაპს შორის დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი შედეგი?
ა. აიკრძალა რომის პაპად არაიტალიელის არჩევა
ბ. ვატიკანი გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ
გ. იტალიაში სახელმწიფო რელიგიად დამტკიცდა კათოლიკობა
დ. რომის პაპს ჩამოერთვა იტალიის მეფის კურთხევის პრეროგატივა

24. რა მოხდა გერმანიაში „ბროლის ღამის“ დროს?
ა. ებრაელთა დევნა და დარბევა
ბ. ანტიფაშისტი მწერლების წიგნების დაწვა
გ. ნაცისტური პარტიის ძველი წევრების გასამართლება
დ. კომუნისტური პარტიის წევრების დაპატიმრება

25. რა მოიმოქმედა გენერალმა შარლ დე გოლმა საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ?
ა. დაემორჩილა კაპიტულაციის პირობებს და ოკუპანტების მიერ შექმნილ კოლაბორაციონისტულ მთავრობას ჩაუდგა სათავეში
ბ. გადავიდა ინგლისში და იქიდან ხელმძღვანელობდა ფრანგების ბრძოლას გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ
გ. არ დაეთანხმა საფრანგეთის კაპიტულაციის პირობებს და პროტესტის ნიშნად დატოვა სამხედრო სამსახური
დ. შეწყვიტა ბრძოლა გერმანელების წინააღმდეგ, მაგრამ არ თანამშრომლობდა კოლაბორაციონისტულ მთავრობასთან

26. რა ეწოდება საერთო სახალხო გამოკითხვას განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხზე ამომრჩეველთა აზრის გასაგებად?

ა. პლებისციტი

ბ. რეფერენდუმი

გ. სახალხო არჩევნები

დ. სოციოლოგიური კვლევა

27. რომელი თავისებურება ახასიათებს არასამთავრობო ორგანიზაციას?

ა. მოგებაზე ორიენტირებულობა

ბ. სახელმწიფოზე დამოკიდებულება

გ. მოქალაქეთა სავალდებულო გაერთიანება

დ. საზოგადოებრივად სასარგებლოობა

28. მართებულია თუ არა მსჯელობა სახელმწიფოს დემოკრატიულობის ძირითადი ნიშნებისა და მახასიათებლების შესახებ?

I. სახელმწიფოს დემოკრატიულობას განსაზღვრავს მმართველობის ფორმა: რესპუბლიკური მმართველობის მქონე სახელმწიფოები დემოკრატიულია, ხოლო მონარქიული - არადემოკრატიული.

II. დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია ხელისუფლების ცვალებადობა. არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობა ნებაყოფლობითია და არა სავალდებულო.

ა. მხოლოდ I

ბ. მხოლოდ II

გ. ორივე

დ. არცერთი

ინსტრუქცია

ქრონოლოგიურად (უძველესიდან უახლესისაკენ) დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

29. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ძველი ეგვიპტის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები:
1. ასურელების მიერ ეგვიპტის დაპყრობა
2. ჰიქსოსების შემოსევა ეგვიპტეში
3. ფარაონ ეხნატონის მოღვაწეობა

30. ქრონოლოგიურად დაალაგეთ „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების“ ეპოქაში მომხდარი მოვლენები:
1. ფერნანდო მაგელანის ექსპედიციის მიერ დედამიწის გარშემოვლა
2. ინკების იმპერიის განადგურება
3. ვასკო და გამას მიერ ინდოეთში საზღვაო გზის აღმოჩენა

31. ქრონოლოგიურად დაალაგეთ მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარი მოვლენები:
1. ელ-ალამეინის ბრძოლა
2. პოტსდამის კონფერენცია
3. გერმანიის მიერ დანიისა და ნორვეგიის ოკუპაცია

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი. იპოვეთ მასში დაშვებული შეცდომები. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენს მიერ ნაპოვნი შეცდომა, ისე მისი შესწორებული ვარიანტი. **ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ფურცელზე მოცემული ცხრილის შესაბამის ადგილას უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა.შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება ან თუნდაც რამდენიმე სიტყვა.** დავალების მაქსიმალური ქულაა 14.

32. ოსმალეთის გაძლიერება

კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ოსმალეთის იმპერიამ გააგრძელა დაპყრობითი ომები როგორც აღმოსავლეთში, ასევე ევროპაში. იმპერიის არმიის დამრტყმელ ძალას მამლუქთა სამხედრო შენაერთები წარმოადგენდა. ოსმალეთი განსაკუთრებით XIV საუკუნეში გაძლიერდა. ამ დროს სახელმწიფოს მართავდა სულთანი სულეიმანი, რომელიც ისტორიაში კანონმდებლის სახელით შევიდა. სამხედრო მოქმედებებისას ოსმალებმა ცენტრალურ ევროპამდე მიაღწიეს და ქალაქ პრაღასაც კი შემოარტყეს ალყა, თუმცა ვერ აიღეს. სულთანს ევროპაში მოკავშირეც ჰყავდა იტალიის მეფის სახით. ევროპაში ოსმალთა მთავარი მოწინააღმდეგე კი ჰოჰენცოლერები იყვნენ. დასავლეთისაკენ ოსმალეთის წინსვლა ტრაფალგარის საზღვაო ბრძოლაში განცდილმა მარცხმა შეაჩერა. მალევე ევროპაში ანტიოსმალური გაერთიანება - „წმინდა ლიგა“ შეიქმნა. ოსმალეთს უკვე აღარ ჰქონდა საშუალება ევროპის კონტინენტზე ექსპანსია გაეგრძელებინა. რაც შეეხება აღმოსავლეთს, აქ მას ირანი უპირისპირდებოდა.

ინსტრუქცია

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

33. ყურადღებით გაეცანით რუკას და უპასუხეთ დასმულ კითხვებს:

(2) 33.1. რომელი საუკუნეების ვითარებაა ასახული რუკაზე?

(2) 33.2. რუკის მიხედვით დაასახელეთ ორი სახელმწიფო, რომელიც წარმოიშვა ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე IV ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ.

(2) 33.3. რუკის მიხედვით დაასახელეთ ევროპაში მდებარე ორი სახელმწიფო, რომლებიც მონღოლებმა დალაშქრეს.

(2) 33.4. რუკის მიხედვით, რომელი სახელმწიფოები აღმოჩნდა ჰულაგუიანთა (ილხანთა) სახელმწიფოს გავლენის ქვეშ?


1223
1243
1187

ინსტრუქცია

ყურადღებით შეისწავლეთ ილუსტრაციები. გააანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დავალებაში დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას.

34. ყურადღებით გაეცანით კარიკატურას და უპასუხეთ დასმულ კითხვებს:



კითხვები:

(1) 34.1. დაასახელეთ კარიკატურაზე გაშარჟებული პოლიტიკური მოღვაწე.

(2) 34.2. პოლიტიკური მოღვაწის რა თვისებაა გაშარჟებული კარიკატურაზე? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ კარიკატურაზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით.

(1) 34.3. რა არგუმენტს მოიტანთ იმის სასარგებლოდ, რომ ეს კარიკატურა 1871 წლის შემდეგაა შექმნილი?

35. ყურადღებით გაეცანით პლაკატებს და უპასუხეთ დასმულ კითხვებს:

№1.

№2.

წარწერა N 1 პლაკატზე - რუსულად „კავკასია იქნება თავისუფალი!“

წარწერა N 2 პლაკატზე - რუსულად „დავიცავთ კავკასიას!“

კითხვები:

(1) 35.1. რომელი სახელმწიფოს ინტერესებს ასახავს №1 პლაკატი?

(1) 35.2. რომელ სახელმწიფოში შეიქმნა №2 პლაკატი?

(1) 35.3. რომელი ისტორიული მოვლენის დროს შეიქმნა ეს პლაკატები?

(1) 35.4. რა იდეა გამოიყენეს ავტორებმა პროპაგანდისტული მიზნის მისაღწევად?

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და შეასრულეთ დავალება. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. **არ დაწეროთ პირობაში მოთხოვნილ რაოდენობაზე მეტი არგუმენტი.** გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

36. გაიუს იულიუს კეისრის მკვლელობა

კეისრის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილეებმა საიდუმლო შეკრება გამართეს. ერთი შეთქმული კეისრის მკვლელობის მომხრე იყო, მეორე კი - წინააღმდეგი.

<u>**დავალება:**</u>

(1) 36.1. მოიყვანეთ ერთი კონკრეტული არგუმენტი, რომლითაც კეისრის მკვლელობის მომხრე თავისი პოზიციის გამტკიცებას შეძლებდა.

(1) 36.2. მოიყვანეთ ერთი კონკრეტული არგუმენტი, რომლითაც კეისრის მკვლელობის მოწინააღმდეგე თავისი პოზიციის გამტკიცებას შეძლებდა.

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

37. პოლკოვნიკი ბურნაშოვი საქართველოს შესახებ

საქართველოში და კავკასიის ქალაქებში, მათ შორის, ერევანსა და განჯაში, რომლებიც საქართველოს მეფის დაქვემდებარებაში შედიან, ქართველები, სომხები, ბერძნები, მაჰმადიანები, სხვადასხვა მთიელი ხალხი და ქურთები საქართველოს სრულიად რუსეთის ტახტის უმაღლესი მფარველობის ქვეშ შემოსვლისას მოითვლებოდა 42 000 კომლი.

საქართველოში ქართველებს შორის სამი წოდებაა: სასულიერო, თავადაზნაურობა და მხვნელ-მთესველები; პირველი, უმეტეს წილად, შედგება კეთილშობილებისგან. სომხებს შორის: თავადაზნაურები, ხელოსნები და მხვნელ-მთესველები. ბერძნებს შორის: ხელოსნები, უმეტეს წილად მადნის მთხრელები, რომლებიც ამარაგებენ ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის სამეფო ქარხნებს. მაჰმადიანებს შორის: ჩინოსანთა საგვარეულოები, ხელოსნები, მხვნელ-მთესველები. მათი ნაწილი მომთაბარეები არიან, მტაცებლები და მეტად მიდრეკილი გახლავან ომისკენ. ქურთები მომთაბარე ხალხია.

მესაქონლეობა მთელს საქართველოში ლეკთაგან თარეშის გამო დიდი არ არის, ცხენსაშენები პატარაა და ყურადღებას არ იმსახურებს. პური საკმარისია, განსაკუთრებით ყაზახსა და შამშადილში, კარგი ყუათიანობისა და თვისებების. ბრინჯი უხვადაა, ასევე - ფეტვი, ქერი და სიმინდი. ბამბა საკმარისია. სელი ბევრი არ არის, თესენ მხოლოდ ზეთის გამოსახდელად. აბრეშუმი მეტად ბევრია, მხოლოდ საშუალო ხარისხისა.

ოქროსა და ვერცხლის მადნები საკმარისადაა, განსაკუთრებით ბევრი სპილენძის მადანია მთებში, რომლებიც ჰყოფს საქართველოს ერევნისგან. მათ გამოიმუშავებენ ბერძნები. რკინა ცოტაა და ცუდი, იყენებენ რუსეთიდან ჩამოტანილს, ყიდულობენ რა მას ხუთჯერ უფრო ძვირად.

ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები ცუდია და ხელოვნებას მოკლებული. არ იციან მათი შერევა სხვა ლითონებთან. სპილენძის ნაკეთობები კარგია, ფოლადისა საშუალოა. რკინის ნაკეთობებს აკეთებენ კალასთან შერევით. არის აბრეშუმისა და ბამბის ხელის პატარა ფაბრიკები. უკანასკნელები ძალზედ ცოტაა.

ვაჭრები მიემგზავრებიან სპარსეთსა და ინდოეთში რუსეთიდან ჩამოტანილი არცთუ დიდი რაოდენობის საქონლით. ხოლო იქიდან ქარავნებით მოაქვთ აბრეშუმის, ბამბის, სპარსული და ინდური მატერიები, ასევე ფაიფურის ჭურჭელი. მათ დიდი ვაჭრობა აქვთ მთიელ და სპარსელ მეზობლებთან საკუთარი ნაწარმით: სპილენძის ჭურჭლით, ბამბის ქსოვილებით, ცხენის მოსართავებით, ხმლებითა და ხანჯლებით, რკინის მცირე საგნებით, ტანსაცმლით, ქუდებითა და ფეხსაცმლით. ყოველივე ამის მიმოტანის საქმეში მთელი კავკასიელი ხალხები და მათი მეზობლები ტფილისელი სომხების შრომისმოყვარეობით სარგებლობენ. სავაჭროები ლამაზი საქონლით, ხელით ნაკეთობებითა და სასურსათო მარაგებით ტფილისში 500-მდეა.

სარწმუნოების წესები და ჩვეულებები ქართველებში ბერძნულია, ღვთისმოშიშების გარეგნულ გამოხატვას გამოავლენენ გულმოდგინედ, მარხვების შენახვას - უზომოდ. ეკლესიები და მონასტრები გაჩანაგებულია. სასულიერო წოდებას გააჩნია საკმარისი ძალაუფლება და პატივისცემა. მათი ხმა სამეფო საბჭოში მნიშვნელოვანია. მთავარი უფროსობა სასულიერო წოდებაზე გააჩნია კათოლიკოსს ანუ უპირველეს მთავარეპისკოპოსს.

სომხები მიჰყვებიან გრიგორიანულ გადმოცემას. თავიანთ ეკლესიებს ინახავენ სისუფთავეში და საკმარისად აქვთ მორთული. ტფილისში არის კათოლიკეების 30-მდე ოჯახი. მათ ჰყავთ თავიანთი პატრები, რომლებსაც გზავნიან რომიდან. ეს პატრები აღასრულებენ მედიკოსების თანამდებობებს და ყოველთვის ძალზედ ახლოს არიან ხოლმე სამეფო კართან. მათ ააშენეს ტფილისში უზარმაზარი კათოლიკური ქვის ეკლესია, ევროპული ნიმუშის მიხედვით, მაგრამ მეფემ იგი გადააკეთებინა ბერძნული აღმსარებლობის ეკლესიად. ბერძნებს გააჩნიათ საკუთარი ეკლესიები, რომლებიც არ არის მდიდარი.

მაჰმადიანებს სარწმუნოების აღსრულება არ ეკრძალებათ. ტფილისში მათ აქვთ სამი მეჩეთი. თითოეული მათგანი გარკვეულ ვალდებულებაში იმყოფება ქართულ ეკლესიებთან, კისრულობენ ერთი-მეორის დაცვას დარბევისაგან. იქ ჩვენი ჯარების ყოფნის უკანასკნელ ხანს მაჰმადიანებს ნება ეძლეოდათ თავიანთი მორწმუნეები მეჩეთებში მიეწვიათ მათი ჩვეულებისდა მიხედვით.

ქურთები წარმართები არიან და ცხოვრობენ თითქმის სარწმუნოების გარეშე, ზოგიერთები აღიარებენ მაჰმადიანურ სარწმუნოებას. მთიელი ხალხები: ძურძუკები, ხევსურები, ფშავლები, ემორჩილებიან მეფეს და გააჩნიათ ბერძნული სარწმუნოება.

<u>კითხვები:</u>

(1) 37.1. რა კონკრეტული მოვლენა იგულისხმება „საქართველოს სრულიად რუსეთის ტახტის უმაღლესი მფარველობის ქვეშ შემოსვლაში“?
(1) 37.2. რა იგულისხმება სიტყვებში: პირველი წოდება „უმეტეს წილად შედგება კეთილშობილებისგან“?
(1) 37.3. წყაროში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, ახსენით, რატომ ფასობდა რკინა ამ ქვეყანაში ძვირად?
(1) 37.4. წყაროში არსებული რა ინფორმაცია მიგვანიშნებს, რომ იმ დროს საქართველოში არსებობდა მანუფაქტურები?
(1) 37.5. წყაროს მონაცემების საფუძველზე, ძირითადად ვინ მისდევდა ვაჭრობას საქართველოში?
(1) 37.6. რა იგულისხმება „ბერძნულ სარწმუნოებაში“?
(1) 37.7. წყაროს მიხედვით, კონკრეტულად რაში გამოიხატება სასულიერო წოდების ძალაუფლება?
(1) 37.8. წყაროში არსებული რომელი ორი კონკრეტული ფაქტი მიუთითებს იმდროინდელ საქართველოში რელიგიურ შემწყნარებლობაზე?
(2) 37.9. წყაროს მიხედვით, ვინ ასრულებდა საექიმო საქმიანობას და როგორ ფიქრობთ, რით იყო ეს გაპირობებული (გარდა იმისა, რომ ჰქონდათ სათანადო ცოდნა)?
(2) 37.10. წყაროს მონაცემების საფუძველზე, ჩამოთვალეთ რომელი სარწმუნოებისა და აღმსარებლობის მიმდევრები სახლობდნენ საქართველოში ქრისტიანების გარდა?
(3) 37.11. წყაროს მიხედვით დაასახელეთ ყველა სახელმწიფო, რომელშიც დადიოდნენ ადგილობრივი ვაჭრები სავაჭროდ.
(2) 37.12. რომელ ქართულ სახელმწიფოში არსებული ვითარებაა აღწერილი წყაროში და ვინ მეფობდა იქ იმ დროს?

სწორი პასუხები

1-31 - თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება

1. დ
2. ა
3. გ
4. გ
5. ბ
6. დ
7. გ
8. ა
9. დ
10. გ
11. გ
12. ა
13. ბ
14. გ
15. დ
16. გ
17. გ
18. გ
19. გ
20. ა
21. ა
22. დ
23. ბ
24. ა
25. ბ
26. ა
27. დ
28. ბ
29. 2 3 1
30. 3 1 2
31. 3 1 2

32. სწორი წყვილი (აღმოჩენილი შეცდომა - 1 ქულა და მისი გასწორებული ვარიანტი - 1ქულა) 2 ქულით ფასდება; სულ 14 ქულა

არის	უნდა იყოს
მამლუქები	იანიჩარები
XIV	XVI
პრაღა	ვენა
იტალია	საფრანგეთი
ჰოჰენცოლერები	ჰაბსბურგები
ტრაფალგარი	ლეპანტო
წმინდა	საღვთო

33. სულ 8 ქულა

33.1. XII საუკუნე (1 ქულა) – XIII საუკუნე (1 ქულა) - 2 ქულა
33.2. ლათინთა იმპერია (1 ქულა), ნიკეის იმპერია (1 ქულა) - 2 ქულა
33.3. უნგრეთი, სერბეთი, ბულგარეთი - 2 ქულა (ნებისმიერი ერთის დასახელება - 1 ქულა, ნებისმიერი ორის დასახელება - 2 ქულა)
33.4. ტრაპიზონის იმპერია (1ქულა), საქართველო (1 ქულა) - 2 ქულა

34. სულ 4 ქულა

34.1. ოტო ფონ ბისმარკი - 1 ქულა
34.2. ნებისმიერი ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას (1ქულა); ნებისმიერი ლოგიკური დასაბუთება (1 ქულა) - სულ 2 ქულა
34.3. ნებისმიერი ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა

35. სულ 4 ქულა

35.1. გერმანია - 1 ქულა
35.2. სსრკ - 1 ქულა
35.3. მეორე მსოფლიო ომის დროს – 1 ქულა
35.4. ნებისმიერი ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა

36. სულ 2 ქულა
1. მომხრე – ნებისმიერი ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა
2. მოწინააღმდეგე – ნებისმიერი ლოგიკური, მკაფიოდ ჩამოყალიბებული არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა

37. სულ 17 ქულა
37.1. გეორგიევსკის ტრაქტატი - 1 ქულა
37.2. თავადაზნაურობა//არისტოკრატია - 1 ქულა
37.3. რკინა ცოტაა//რკინა შემოაქვთ - 1 ქულა
37.4. ნახსენებია აბრეშუმის და ბამბის ხელის ფაბრიკები//ხელის ფაბრიკები - 1 ქულა
37.5. თბილისელი სომხები - 1 ქულა
37.6. მართლმადიდებლობა - 1 ქულა
37.7. მონაწილეობენ სამეფო საბჭოში// მათი ხმა სამეფო საბჭოში მნიშვნელოვანია// გავლენა აქვთ სახელმწიფოს მართვაზე - 1 ქულა
37.8. მაჰმადიანებს სარწმუნოების აღსრულება არ ეკრძალებათ (მათ აქვთ 3 მეჩეთი თბილისში, ნება ეძლეოდათ მეჩეთში მიეწვიათ მორწმუნეები, ქართული ეკლესიები კისრულობენ მათ დაცვას), სომხებს აქვთ ეკლესიები, კათოლიკეების ჰყავთ პატრები - ნებისმიერი 2 ფაქტის დასახელება - 1 ქულა
37.9. პატრები, კათოლიკე ღვთისმსახურები (1 ქულა); სხვებს არ ჰქონდათ სამედიცინო კვალიფიკაცია (1 ქულა) - 2 ქულა
37.10. წარმართები (1 ქულა), მაჰმადიანები (1 ქულა) - 2 ქულა
37.11. ინდოეთი (1ქულა), სპარსეთი (1ქულა), რუსეთი (1ქულა) - 3 ქულა
37.1.2. ქართლ-კახეთი (1ქულა), ერეკლე II (1 ქულა) - 2 ქულა